

მათემატიკის ოლიმპიადის ფინალური ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-6 კლასი

ტესტი შედგება **12 დავალებისგან და 4 სავარაუდო პასუხისაგან**. მისი ჯამური ქულაა **50**. სხვადასხვა სავარჯიშოს აქვს განსხვავებული ქულა, რომელიც დამოკიდებულია სირთულესა და ამოცანის ამოსახსნელად საჭირო დროზე. ტესტში მოცემულია ამოცანები შემდეგი გადანაწილებით:

2 ცალი	2 ქულიანი
2 ცალი	3 ქულიანი
3 ცალი	4 ქულიანი
3 ცალი	5 ქულიანი
1 ცალი	6 ქულიანი
1 ცალი	7 ქულიანი

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი ლოგიკურად (ამოცანიდან გამომდინარე), ჯერ ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი, ან გამორიცხვის მეთოდით მივიდეს სწორ პასუხამდე (მოცემული პასუხებიდან გამომდინარე).

არიტმეტიკა და რიცხვებზე მოქმედება

მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება (შეკრება, გამოკლება, მოქმედებათა სწორი თანმიმდევრობით). ასევე, საჭიროა ტექსტური ამოცანის გაანალიზება და სწორი პასუხის არჩევა.

მაგალითი: (3 ქულა) ჩამოთვლილთაგან, რომლის გარდაქმნის შედეგად მიიღება ყველაზე პატარა რიცხვი?

- A) $30 \times 3 + 10 : 5 + 12 / 4$ B) $(407 - 59) / 3$ C) $450 : 3 \times 2$ D) $350 : 5 \times 7$

ლოგიკური აზროვნება და შედარება

ამოცანების ნაწილი დაკავშირებულია ტექსტის გაანალიზებასთან, მონაცემების შედარებასთან, საათისა და დღეების ცნობასთან და.შ. ასეთი ტიპის ამოცანები ავითარებს მოსწავლის კრიტიკულ აზროვნებას.

მაგალითი: (4 ქულა) კუ ჩავარდა 20 მეტრი სიმაღლის ჭაში. იგი ყოველდღე 5 მეტრით მაღლა მიიწევს, თუმცა ღამით 4 მეტრით ქვემოთ ცურდება. მერამდენე დღეს ამოვა კუ ჭიდან?

- A) მე-16 B) მე-19 C) მე-20 D) 21-ე

რიცხვების დაბოლოებები

მოსწავლემ უნდა ამოიცნოს რიცხვთა ნამრავლში სხვადასხვა ციფრის ერთმანეთზე გადამრავლებით რა ციფრით ბოლოვდება მიღებული რიცხვი.

მაგალითი: (4 ქულა) რამდენი ცალი ნულიანით ბოლოვდება პირველი 5 ნატურალური რიცხვის ნამრავლი?

- A) 0 B) 1 C) 2 D) 3

გეომეტრიული ფიგურები

მოსწავლემ უნდა იცოდეს ბრტყელი (გვერდი, პერიმეტრი, ფართობი) და ელემენტარული სივრცული გეომეტრიული ფიგურების (წვერო, წიბო, წახნაგი) ელემენტარული თვისებები.

მაგალითი: (6 ქულა) თუ მართკუთხედსა (რომელიც კვადრატი არაა) და კვადრატს აქვთ ერთნაირი ფართობი, რომლის პერიმეტრია მეტი?

- A) მართკუთხედის, რომელიც კვადრატი არაა B) კვადრატის
C) თანაბარია D) შეუძლებელია დადგენა

ისრებიან საათზე კუთხეების დადგენა

მოსწავლეს უნდა შეეძლოს ისრებიან საათზე სრული საათის დროს (1:00; 12:00...) კუთხეების გაგება (თუ რამდენგრადუსიანი კუთხე). ეს ავითარებს როგორც გეომეტრიის (აღქმადობა), ასევე დაანგარიშების უნარებს.

მაგალითი: (5 ქულა) რამდენგრადუსიან კუთხეს ადგენს საათისა და წუთების მაჩვენებელი ისრები ექვს საათზე?

- A) 60° B) 90° C) 120° D) 180°

გისურვებთ წარმატებას და გელოდებით, 14 დეკემბერს მათემატიკის ოლიმპიადის ფინალურ ტურზე.

მათემატიკის ფინალური ტურის საფასურია 29 ლარი. გადახდისათვის ეწვიეთ ბმულს: <https://kings.ge/gadaxda>